ექსპერტის განმარტება:

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის AR11052750 განაცხადით დარეგისტრირებულ განაცხადზე, გადაწყვეტილება № 7186858-ით დადგენილ ხარვეზთან მიმართებაში

დადგენილი ხარვეზი:

05. გაითვალისწინეთ წარმოდგენილი დეკლარაციაში საიზოლაციო მასალად გამოყენებულია ექსტრუდირებული პოლისტიროლის ქაფი (XPS); აღნიშნული მასალის გამოყენებასთან დაკავშირებით განიმარტოს N41 საექსპერტო დასკვანიში მასალის ცეცხლმედეგობასთან დაკავშირებით (1404 და 1404.8.1 ქვეთავთან შესაბამისობაზე)

განმარტება:

- 1404 და 1404.8.1 ქვეთავების მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ გარე კედლებზე.
- არქიტექტურულ პროექტზე თანდართული ენერგოეფექტურობის დეკლარაციის შესაბამისად, გარე კედლების ასაგებად გამოყენებულია YTONG-ის სამშენებლო ბლოკი, რომელიც შელესილი და შეღებილია. გარე კედლებზე არ არის გამოყენებული პოლისტიროლის ქაფი (XPS).
- აღნიშნული მასალა, პოლისტიროლის ქაფი (XPS), გამოყენებულია სახურავზე და იატაკის ანაწყობში, რომელზეც არ ვრცელდება 1404 და 1404.8.1 ქვეთავების მოთხოვნა.

ქვეთავი 1404 - მასალები

1404.1 ზოგადი. გარე კედლების ასაგებად გამოყენებული მასალები უნდა აკმაყოფილებდეს ამ ქვეთავის დებულებებს. ნებართვის მიღებისას, დასაშვებია ისეთი ალტერნატიული მასალების გამოყენება, რომლებიც აქ არაა განსაზღვრული.

ექსპერტი:

მაია დადვანი

შპს „მშენ-ექსპერტი +“
– ტიპის ინსპექტირების ორგანო
მის: ქ. თბილისი, გუდარეხის შესახვევი №23
ტელ.: (+995) 595-95-25-22
ს/კ 406304896

აკრედიტაციის მოწმობის №:GAC-IB-0350
ინსპექტირების ანგარიშის №: FT-409/05/24-I409/1
გაცემის თარიღი: “28” 05 2024 წელი
ინსპექტირების თარიღი: 02.05÷28.05.2024 წელი

ინსპექტირების ობიექტის იდენტიფიკაცია:

ქ. თბილისი, ბობ უოლშის ქუჩა №25 (ს/კ 01.72.14.009.552) ყინულის სასახლის არქიტექტურული ნაწილი

ვამტკიცებ,
დირექტორი_____
ა. ჭიპაშვილი

ინსპექტირების ანგარიში
(ექსპერტიზის დასკვნა)

დამკვეთის იდენტიფიკაცია:	შპს „ქალაქპროექტი" ს/ნ 205266460 დრექტორი: მანუჩარ მახათაძე
ანგარიშის შედგენის საფუძველი:	განაცხადი №-409/05/24-I409 (02.05.2024 წ) ხელშეკრულება №-C-409/05/24-I409 (02.05.2024 წ)
ინსპექტირების სფერო:	პროექტის არქიტექტურული ნაწილის ინსპექტირება
ინსპექტირების ამოცანა:	ქ. თბილისი, ბობ უოლშის ქუჩა №25 (ს/კ 01.72.14.009.552) არქიტექტურული ნაწილის ინსპექტირება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების, ტექნიკური რეგლამენტი - „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“-ს მიხედვით. თბილისი 2024 წელი

შემადგენლობა

1. ინსპექტირების შემსრულებლები 3
2. გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა 3
3. ინსპექტირებისათვის წარმოდგენილი მასალები 3
4. კვლევითი ნაწილი 4
5. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება. 5
6. კონსტრუქციის ტიპების შეფასება. 6
7. სიმაღლისა და ფართობის შფასება 6
8. გასასვლელების, გასასვლელებთან მისადგომების, გასავლელების, შენობიდან გამოსასვლელების და მათი გამტარუნარიანობის შეფასება 7
9. მისაწვდომობის შეფასება 8
10. გარე კედლების ცეცხლმედეგობისა და ღიობებისადმი მოთხოვნების შეფასება 9
11. სახურავის ანაწყობების შეფასება 9
12. ჩეცხლმედეგობის ხარისხიანი გამმიჯნავების შეფასება 9
13. ხანძრისგან დაცვის სისტემის შეფასება 10
14. ჭყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება 13
15. დასკვნა 15

ინსპექტირების შემსრულებლები

ინსპექტირების შემსრულებლები ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელის მიერ გაფრთხილებული და პასუხისმგებელნი ვართ ინსპექტირება ვაწარმოოთ მიუკერძოებლობლად, ჯეროვნად ჩავატაროთ კვლევა და დავიცვათ ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

ინსპექტორი: ***მაია დადვანი*** _____

წარმოდგენილი მასალები

ქ. თბილისი, ბობ უოლშის ქუჩა 25 (ს/კ 01.72.14.009.552). ყინულის სასახლის პროექტის ელექტრონული დოკუმენტაცია.

გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების ტექნიკური რეგლამენტი - „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“;
2. ტექნიკური რეგლამენტი “მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების თაობაზე” (საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №732);
3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში №71).
4. MEP-TP-G06.6 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.

კვლევითი ნაწილი

ინსპექტირებაზე წარმოდგენილია ქ.თბილისში, ბობ უოლშის ქუჩა №25-ში (ს/კ 01.72.14.009.552) მშენებარე შენობის პროექტის არქიტექტურული ნაწილი. საპროექტო შენობა - ყინულის სასახლეა, რომელიც გათვლილია 500 მაყურებელზე, არის ორსართულიანი. შენობაში, ყინულის მოედნისა და ტრიბუნების გარდა, გათვალისწინებულია შენობის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა დამხმარე ფართობი თუ სივრცე, კერძოდ: ფოიე, გარდერობი, გასახდელები, სან.კვანძები, ოფისები, ინვენტარის გასაქირავებელი და დასასაწყობებელი ფართობები, VIP ლოჟები, ჟურნალისტების სამუშაო სივრცეები, კაფეტერია, ტექნიკური და დამხმარე ოთახები და სხვ;

შენობის გარე კედლების სახურავის და მიწასთან შემხები სართულის იატაკის ფილის დასათბუნებელი მასალები შერჩეულია ენერგოეფექტურობის მოთხოვნების შესაბამისად (იხ. დეკლარაცია); - საპროექტო შენობას გააჩნია ერთი მთავარი შესასვლელ/გამოსასვლელი და რამდენიმე საევაკუაციო გასასვლელი, რომლებიც 0.00 ნიშნულზე მდებარეობს. შენობის +3.60 ნიშნულზე მდებარე სართულს კი გააჩნია ოთხი საევაკუაციო გასასვლელი გზა-კიბეების სახით. აუცილებელი გასასვლელი საშუალებების რაოდენობა სავსებით საკმარისია, ადამიანთა რაოდენობის (შენობის დამკავებელთა რაოდენობის) და გასასვლელებთან მისადგომი მაქსიმალური მანძილების გათვალისწინებით; - საპროექტო შენობის საზოგადოებრივი სივრცეები ადაპტირებულია შშმ პირებზე ანუ ზემოთხსენებულ სივრცეებში გათვალისწინებულია მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის მოთხოვნები, კერძოდ: მისავდომი სვლაგეზი საზოგადოებრივი სივრციდან შენობის შესასვლელებამდე და შემდეგ ყველა საზოგადოებრივ სივრცეში. შშმ პირთათვის +3.60 ნიშნულზე მოხვედრა შესაძლებელია ორი ლიფტის მეშვეობით, რომელთა კაბინის ზომები შეესაბამება სტანდარტს.

გარე ავტოსადგომზე, რომელიც 115 ადგილზეა გათვლილი, გათვალისწინებულია შესაბამისი რაოდენობის შშმპ ადგილები, რომელთაგან ერთი ადგილი მიკროავტობუსისთვისაა. - საპროექტო შენობის სახანძრო ტექნიკური სიმაღლე არის 10 მ-ზე დაბალი და შესაბამისად ეს შენობა არ არის მაღლივი. სახანძრო მანქანას ყველა მხრიდან აქვს შენობასთან მიდგომის საშუალება; - შენობაში გათვალისწინებულია ყველა ის სახანძრო სისტემა, რომელიც მითითებულია 41-ე დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-9 თავში, ხოლო სივრცეების ცეცხლმედეგი გამოჯვნები გათვალისწინებულია 508-ე

ქვეთავით განსაზღვრულ ადგილებში (508-ე ქვეთავით და არა მხოლოდ 508.4 ცხრილით!).

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება

პროექტში გათვალისწინებული დაკავებულობები კლასიფიცირებულია „წესების“ მესამე თავის მიხედვით და აკმაყოფილებს 302-ე ქვეთავის ყველა მოთხოვნას.

± 0.00 ნიშნული

- სასაწყობე ჯგუფი (**სწ-1**) – ინვენტარის შესანახი ოთახი, ფორმების შესანახი ოთახი, გარდერობი და შერეული საწყობი, 128.9 მ², დ.დ.----5;
- დამხმარე და სხ. დანიშნ. (**დს**) – ტექნიკური დანიშნულების ოთახები. 241.5 მ², დ.დ.----11;
- საქმიანი ჯგუფი (**სქ**) - გასახდელები, ფორმების საშრობი ოთახები, საგრიმიორო, სამკერვალო, პერსონალის მოსასვენებელი ოთახი, დაცვის ოთახი, სალარო, ექიმის ოთახი, დოპინგკონტროლის ოთახი, მასაჟის ოთახი და ციგურების სახელოსნო. 888.8 მ², დ.დ.---242;
- სავაჭრო ჯგუფი (**სვ**) - სავაჭრო ფართები 78.6 მ², დ.დ.----30;
- თავშეყრის ჯგუფი (**თვ-3**) – ლობი, 504.1 მ², დ.დ.----208;
- თავშეყრის ჯგუფი (**თვ-4**) – ყინულის მოედანი, 2401 მ², დ.დ.---511

  ჯამური დაკავებულობა----**1160**

+3.60 ნიშნული

- საქმიანი ჯგუფი (**სქ**) - ფედერაციის წარმომადგენელთა ოთახები, ვიპ ოთახები, გახმოვანების ოთახი, კომენტატორის ოთახი, ჟურნალისტების ოთახი, ჟურნალისტების საკონფერენციო ოთახი, ქორეოგრაფიის ოთახი, ოფისები, ტრენაჟორების ოთახი და ფიზკულტურის ოთახი. 1086.3 მ², დ.დ.---167;
- თავშეყრის ჯგუფი (**თვ-2**) – კაფე-ბარი, სამზარეულო, 153.6 მ², დ.დ.----120;
- თავშეყრის ჯგუფი (**თვ-4**) – ტრიბუნები, 429.7მ², დ.დ.---500;

  ჯამური დაკავებულობა----78

კონსტრუქციის ტიპების შეფასება

საპროექტო ორივე შენობის კონსტრუქცია (ცხ. 601-ს მიხედვით) შეესაბამება და წარმოადგენს **(I-B)** ტიპის კონსტრუქციას და ყველა ნიშნულზე არსებული დაკავებულობებისთვის აკმაყოფილებს 503-ე ცხრილის მონაცემებს სიმაღლის და ფართობის შესახებ.

სიმაღლისა და ფართობის შფასება

საპროექტო ობიექტის სიმაღლე და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციის ტიპთან **(I-B)** და აკმაყოფილებს „წესების“ 503-ე ცხრილის მოთხოვნებს.

სიმაღლის შეზღუდვები

სიმაღლის შეზღუდვები ცხრილი 503-ის მიხედვით		
დაკავებულობები	დასაშვები სართულიანობა	შემოთავაზებული სართულიანობა
სასაწყობო ჯგუფი სწ-1	11	1
დამხმარე ჯგუფი დს	5	1
სავაჭრო ჯგუფი სვ	11	1
საქმიანი ჯგუფი სქ	11	2
თავშეყრის ჯგუფი თვ-4	11	2
თავშეყრის ჯგუფი თვ-3	11	1
თავშეყრის ჯგუფი თვ-2	11	1
სიმაღლის შეზღუდვა	დასაშვები სიმაღლე	შემოთავაზებული სიმაღლე
შენობის სიმაღლე	48.8	12.92
მიწის დონის ზემოთ სართულ(ებ)ის რაოდენობა	2	

ფართობის შეზღუდვები

ფართობის შეზღუდვები ცხრილი 503-ის მიხედვით		
დაკავებულობები	დასაშვები ფართობი (სართულზე)	შემოთავაზებული ფართობი (სართულზე)
სასაწყობო ჯგუფი სწ-1 (ინვენტარის შესანახი ოთახი, ფორმების შესანახი ოთახი, გარდერობი და შერეული საწყობი) ±0.00	4460	128.9
დამხმარე ჯგუფი დს (ტექნიკური დანიშნულების ოთახები) ±0.00	3300	241.5
სავაჭრო ჯგუფი სვ (სავაჭრო ფართები) ±0.00	შეუზღუდავი	78.6

საქმიანი ჯგუფი სქ (გასახდელები, ფორმების საშრობი ოთახები, საგრიმიორო, სამკერვალო, პერსონალის მოსასვენებელი ოთახი, დაცვის ოთახი, სალარო, ექიმის ოთახი, დოპინგკონტროლის ოთახი, მასაჟის ოთახი და ციგურების სახელოსნო) ±0.00	შეუზღუდავი	888.8
თავშეყრის ჯგუფი **თვ-4** (ყინულის მოედანი) ±0.00	შეუზღუდავი	2401.0
თავშეყრის ჯგუფი **თვ-3** (ლობი და ციგურების გასაქირავებელი სივრცე) ±0.00	შეუზღუდავი	504.1
საქმიანი ჯგუფი სქ (ფედერაციის ოთახები, ვიპ ოთახები, გახმოვანების ოთახი, კომენტატორის ოთახი, ჟურნალისტების ოთახი, ჟურნალისტების საკონფერენციო ოთახი, ქორეოგრაფიის ოთახი, ოფისები, ტრენაჟორების ოთახი და ფიზკ.ოთახი +3.60	შეუზღუდავი	1086.3
თავშეყრის ჯგუფი **თვ-4** (ტრიბუნები)+3.60	შეუზღუდავი	429.7
თავშეყრის ჯგუფი **თვ-2** (კაფე-ბარი და სამზარეულო) +3.60	შეუზღუდავი	153.6
შემოთავზებული ფართობების ჯამი	5915.5	
სართულების რაოდენობა	2	
შენობის საერთო ფართობი	5915.5 + 838.0 (±0.00 ნიშნ) + 834.8 (+3.60 ნიშნ) = **7588.3**	

გასასვლელების, გასასვლელებთან მისადგომების, გასავლელების, შენობიდან გამოსასვლელების და მათი გამტარუნარიანობის შეფასება

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა თითოეული დაკავებულობისათვის და აქედან გამომდინარე, პროექტი აკმაყოფილებს წესების მე-10 თავის მონაცემებს და მოთხოვნებს. ასევე, შენობის მთელზე ფართობზე არსებული თითოეული დაკავებულობისათვის და იმ სივრცეებისათვის, რომელშიც ეს დაკავებულობები ფუნქციონირებენ, გასასვლელების რაოდენობა (1021 ქვთ.) და გამტარუნარიანობა, განსაზღვრულია 1008 ქვეთავის, დაკავებულობის დატვირთვის

(1004 ქვთ.) და 1005.3.2 ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორის (5,1 მმ) მიხედვით და აკმაყოფილებს ყველა მინიმალურ მოთხოვნილებას. გასასვლელების სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია 1018, 1023 ქვეთავების შესაბამისად და მითითებულია ქვემოთმდებარე ცხრილში.

თითოეული სართულიდან გასასვლელი საშუალება									
სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვ.-ი	მოთხოვნილი გასასვლელების/გასასვლელთან მისად. რაოდ.-ბა	გათვალისწინებული გასასვლელების/ გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა და ტიპი	გასასვლელი საშუალებების სიგანე (მეტრი)					
				გზა-კიბეები		დერეფანი,		გასასვლელის გზა-კარი	
				მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი (ერთ კარზე)	გათვალისწინებული (ერთ კარზე)
±0.00	დ.დ. 1160	4	8	-	-	1.20	2.46	0.82	0.87
+3.60	დ.დ. 787	3	4	1.10	1.40	1.20	2.20	-	-

მისაწვდომობის შეფასება

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების XI თავის მიხედვით, შენობა მისაწვდომია. ასევე ამ შენობის ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები, მისაწვდომი სვლაგეზი, წყალსადენის ელემენტები, საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები, სარეკრიაციო და მისაწვდომი საშუალებები აკმაყოფილებს ტექნიკურ რეგლამენტს ,,მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ის შესახებ.

გარე კედლების ცეცხლმედეგობისა და ღიობებისადმი მოთხოვნების შეფასება

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობების დაცვის ხარისხი განსაზღვრულია 705-ე ქვეთავის მიხედვით და შეესაბამება 705.8 და 602. 601 ცხრილების მოთხოვნებს.

გარე კედლის ცეცხლმედეგობისა და ღიობისადმი მოთხოვნები ცხრილების 602-ის და 705.8-ის მიხედვით									
გარე კედე-ლი	ხანძარ-საწინაა-ღმდეგო მანძილი (მეტრი)	ცეცხლმედეგობის გათვალისწინებუ-ლი ხარისხი (საათი)		კედლის ღიობების ფართობი (კედლის %)					
		მოთხ ოვნილი	გათვა ლისწი ნებული	დასაშვები			გათვალისწინებული		
				დაუც-ული	დაუცველი საშხეფებით	დაცული საშხეფეე ბით	დაუც-ველი	დაუც-ველი საშხეფ ეებით	დაცული საშხეფეე ბით
ყველა	9-ზე მეტი	0	0	-	შეუზღუდავ ი	-	-	აკმაყო ფილ ებს	-

სახურავის ანაწყობების შეფასება

შენობის სახურავი არის ნაწილობრივ რკინაბეტონის ბრტყელი გადახურვა, ხოლო ნაწილობრივ - ლითონის ქანობიანი გადახურვა (ბურულის მასალად გამოყენებულია სენდვიჩპანელი). საძირკვლის რკინაბეტონის ფილა, რკინაბეტონის სვეტები და კოჭები, რკინაბეტონის იატაკისა და სახურავის ფილები და უშუალოდ ყინულის მოედნის თავზე ლითონის ფერმები, რომელიც მხოლოდ სახურავს ზიდავს.

სახურავის ანაწყობი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს 601-ე ცხრილის მიხედვით.

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი გამმიჯნავების შეფასება

საპროექტო შენობის თითოეული ნაწილი ინდივიდუალურადაა კლასიფიცირებული „წესების“ 508.3.1-ე ქვეთავის მიხედვით. დაკავებულობების მთელი ფართობისთვის გამოიყენება მე-9 თავში გაუმიჯნავი დაკავებულობებისთვის განსაზღვრული ყველაზე მკაცრი/შემზღუდველი დებულებები, შესაბამისად დაკავებულობები არის გაუმიჯნავი.

ხანძრისგან დაცვის სისტემების შეფასება

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, შენობა აღჭურვილი იქნება კვამლზე მორეაგირე სისტემებით, ავტოსაშხეფი სისტემით. ასევე გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრების, გასასვლელის ნიშების დამონტაჟება. საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემის დამონტაჟება მე-9-ე თვის შესაბამისად.

ხანძრისაგან დაცვის სისტემებისადმი მოთხოვნები								
დაკავებულობები/ სივრცეები/გასასვლელი საშუალებები	ავტოსაშხეფი სისტემა	ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები	სახანძრო განგაშისა, კვამლაღმოჩენი და ცეცხლაღმოჩენი სისტემები	სახანძრო მილდგარების სისტემები	კვამლის საკონტროლო სისტემები	ხელის ცეცხლმაქრები	საავარიო განგაშის სისტემები	ხანძრის მართვის ცენტრი
სასაწყობო ჯგუფი სწ-1 (ინვენტარის შესანახი ოთახი, ფორმების შესანახი ოთახი, გარდერობი და შერეული საწყობი)	კი	-	1.კვამლის ავტომატური აღმომჩენი 2. სახანძრო სიგნალიზაცია 3. მხედველობითი განგაშის სისტემა	-	მექანიკური განიავება, კვამლის გაწოვის სისტემა	კი	-	-
დამხმარე ჯგუფი დს (ტექნიკური დანიშნულების ოთახები)	კი	-	1.კვამლის ავტომატური აღმომჩენი 2. სახანძრო სიგნალიზაცია	-	მექანიკური განიავება, კვამლის გაწოვის სისტემა	კი	-	-
სავაჭრო ჯგუფი სვ (სავაჭრო ფართები)	კი	-	1.კვამლის ავტომატური აღმომჩენი 2. სახანძრო სიგნალიზაცია 3.	-	მექანიკური განიავება, კვამლის გაწოვის სისტემა	კი	-	-

			მხედველობითი განგაშის სისტემა					
საქმიანი ჯგუფი სქ	კი	-	1.კვამლის ავტომატური აღმომჩენი 2. სახანძრო სიგნალიზაცია 3. მხედველობითი განგაშის სისტემა	-	მექანიკური განიავება, კვამლის გაწოვის სისტემა	კი	-	-
თავშეყრის ჯგუფი თვ - 2 (კაფე -ბარი და სამზარეულო)	კი	-	1.კვამლის ავტომატური აღმომჩენი 2. სახანძრო სიგნალიზაცია 3. მხედველობითი განგაშის სისტემა	-	მექანიკური განიავება, კვამლის გაწოვის სისტემა	კი	-	-
თავშეყრის ჯგუფი თვ - 3 (ლობი და ციგურების გასაქირავებელი სივრცე)	კი	-	1.კვამლის ავტომატური აღმომჩენი 2. სახანძრო სიგნალიზაცია 3. მხედველობითი განგაშის სისტემა	-	მექანიკური განიავება, კვამლის გაწოვის სისტემა	კი	-	-
თავშეყრის ჯგუფი თვ - 4 (ყინულის მოედანი, ტრიბუნები)	კი	-	1. კვამლის ავტომატური აღმომჩენი 2. სახანძრო სიგნალიზაცია 3.	-	მექანიკური განიავება, კვამლის გაწოვის სისტემა	კი	-	-

			მხედველობითი განგაშის სისტემა 4. საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა (მათ შორის ეკრანზე ტიტრები)					
კიბის უჯრედები	კი	-	1.კვამლის ავტომატური აღმომჩენი 2. ავარიული განათება	-	მექანიკური განიავება, კვამლის გაწოვის სისტემა	-	-	-
დერეფნები	კი	-	1.კვამლის ავტომატური აღმომჩენი 2. სახანძრო სიგნალიზაცია 3. საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა 4. სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები 5. მხედველობითი განგაშის სისტემა	კი	მექანიკური განიავება, კვამლის გაწოვის სისტემა	კი	-	-

			6. ავარიული განათება 3. საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა 4. სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები 5. მხედველობითი განგაშის სისტემა 6. ავარიული განათება					
ლიფტი	-	-	-	-	-	-	-	
სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები				კი				

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება

წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა თითოეული დაკავებულობისათვის, თითოეულ სართულზე შეესაბამება ცხრილი 1602.1-ის მოთხოვნებს და მოცემულია ცხრილში.

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა ცხრილი 1602.1-ის მიხედვით						
სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური	ფიქსირებული მოწყობილობები(ცალი)				
		უნიტაზი	ტუალეტის ხელსაბანები	აბაზანა/შხაპი	სასმელი წყლის ფანტანი	სხვა

	მაჩვენებელი	მოთხოვნილი	გათვალისწინებული(სულ)	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი (სამომსახურებო ნიჟ.)	გათვალისწინებული
±0.00	სწ-1_5 დს_11 სქ_242 სვ_30 თვ-3_361 თვ-4_511	39	49	16	49	-	47	7	7	5	5
+3 .60	სქ_167 თვ-2_120 თვ-4_500	31	9	13	9	-	-	4	4	3	3

შენიშვნა: მეორე სართულიდან პირველ სართულის ტუალეტებამდე სავალი მანძლი არ აღემატება 150 მეტრს (1602.2). ამ შემთხვევაში ორივე სართულზე სველი წერტილების რაოდენობა აკმაყოფილებს მოცემულ დავალებას.

დასკვნა

ქ. თბილისი, ბობ უოლშის ქუჩა 25 (ს/კ 01.72.14.009.552) ყინულის სასახლის პროექტის არქიტექტურული ნაწილი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტთან „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“ (2016 წლის 28 იანვარი №41) და ეძლევა დადებითი შეფასება.

ინსპექტირების ანგარიში შეადგინა:

ინსპექტორი: მ. დადვანი /*მ. დადვანი* /

ინსპექტირების ანგარიში ტექნიკურად გადაამოწმა:

ტექნიკური მენეჯერი,

პროფესორი: /*მ. წიქარიშვილი* /

ინსპექტირების ანგარიში ადმინისტრაციულად გადაამოწმა:

ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელი: /*ა. ჭიპაშვილი*/

შპს „მშენ-ექსპერტი +“
– ტიპის ინსპექტირების ორგანო
მის: ქ. თბილისი, გუდარეხის შესახვევი №23
ტელ.: (+995) 595-95-25-22
ს/კ 406304896

აკრედიტაციის მოწმობის №:GAC-IB-0350
ინსპექტირების ანგარიშის №: FT-409/05/24-I409/2
გაცემის თარიღი: “ 28 ” 05 2024 წელი
ინსპექტირების თარიღი: 02.05÷28.05.2024 წელი

ინსპექტირების ობიექტის იდენტიფიკაცია:

ქ. თბილისი, ბობ უოლშის ქუჩა №25 (ს/კ 01.72.14.009.552) ყინულის სასახლის არქიტექტურული ნაწილი

ვამტკიცებ,
დირექტორი _____ ა. ჭიპაშვილი

ინსპექტირების ანგარიში
(ექსპერტიზის დასკვნა)

დამკვეთის იდენტიფიკაცია:	შპს „ქალაქპროექტი" ს/ნ 205266460 დრექტორი: მანუჩარ მახათაძე
ანგარიშის შედგენის საფუძველი:	განაცხადი №-409/05/24-I409 (02.05.2024 წ) ხელშეკრულება №-C-409/05/24-I409 (02.05.2024 წ)
ინსპექტირების სფერო:	პროექტის არქიტექტურული ნაწილის ინსპექტირება
ინსპექტირების ამოცანა:	ქ. თბილისი, ბობ უოლშის ქუჩა 25 (ს/კ 01.72.14.009.552). ყინულის სასახლის პროექტის არქიტექტურული ნაწილის ინსპექტირება საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 დეკემბრის №732 დადგენილების ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ის მიხედვით.

თბილისი
2024 წელი

შემადგენლობა

1. ინსპექტირების შემსრულებლები 3
2. გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა 3
3. ინსპექტირებისათვის წარმოდგენილი მასალები 3
4. კვლევითი ნაწილი 4
5. დასკვნა 10

ინსპექტირების შემსრულებლები

ინსპექტირების შემსრულებლები ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელის მიერ გაფრთხილებული და პასუხისმგებელნი ვართ ინსპექტირება ვაწარმოოთ მიუკერძოებლობლად, ჯეროვნად ჩავატაროთ კვლევა და დავიცვათ ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

ინსპექტორი: ***მაია დადვანი*** _____

წარმოდგენილი მასალები

ქ. თბილისი, ბობ უოლშის ქუჩა 25 (ს/კ 01.72.14.009.552). ყინულის სასახლის პროექტის ელექტრონული დოკუმენტაცია.

გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 დეკემბრის №732 დადგენილების ტექნილური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“.
2. MEP-TP-G06.6 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.

კვლევითი ნაწილი

ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ საფუძველზე შეფასდა:

- მისაწვდომი სვლაგეზი: მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები, თითოეული კარი და კართან მანევრირებისთვის საჭირო სივრცეები;
- ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები: მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეები,მისაწვდოი გზა-კიბეები;
- წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები: ტუალეტების ოთახები, უნიტაზები, ხელსაბანები;
- საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები: ნიშნები

1. მისაწვდომი სვლაგეზი:

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს, კარებს და პანდუსს რაც შეესაბამება ქვეთავის მოთხოვნებს.

მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა, რაც შეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნას.
- საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით მოწყობილი სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, ხოლო სავალი ზედაპირის განივიდახრა არ აღემატება 1:48-ს, თანახმად 403.3 ქვეთავისა.
- იატაკის ზედაპირებზე დონე არ იცვლება, შესაბამისად დაკმაყოფილებულია 303-ე ქვეთავის მოთხოვნა.
- მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში უტოლდება 900 მმ-ს, ხოლო შენობის გარეთ - 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 180 გრადუსიან ბრუნს (სასაწყობო სივრცეში, თაროებს შორის), თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან

მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.2.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.

- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.
- საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები მოიცავს გვერდასავლელ სივრცეებს, რაცშეესაბამება 403.5.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

კარები და გზა-კარები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 404 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა გზა-კარის თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან და გზა-კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.
- გზა-კარებები ზღურბლის გარეშეა და კართან იატაკის დონეები უცვლელია.
- კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.

იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში, შვეულად გაზომვისას, კარების ზედაპირები გლუვია მიწოლის მხარეს და ასეთი გლუვი ზედაპირები კარის მთელ სიგანეზე გრძელდება. კარის კავეული და ნებისმიერი სხვა შემაფერხებელი ან გამოშვერილი ნაწილი, არ არის მოწყობილი იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 404.2.9 ქვეთავის მოთხოვნებს.

2. ადგილის და შენობის ელემენტები

საპროექტო მიწის ნაკვეთზე მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეების რაოდენობა და ტიპი დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის №41-ე დადგენილების

საფუძველზე. ასეთი მისაწვდომი ავტოსადგომებისადმი მოთხოვნები კი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი -„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-5 თავის დებულებებს, კერძოდ:

- მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის გასაჩერებელი სივრცის სიგანე უტოლდება 2500 მმ-ს, ხოლო მიკროავტობუსის - 3500 მმ-ს, რაც პასუხობს 502.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის გასაჩერებელი სივრცე დახაზულია თანახმად 502.3 ქვეთავისა.
- მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის გასაჩერებელ სივრცეს ესაზღვრება მისაწვდომი გასავლელი. მისაწვდომი გასავლელი ესაზღვრება მისაწვდომ სვლაგეზს. მისაწვდომი გასავლელი არ ფარავს საავტომობილო გზას. მისაწვდომი ავტოსადგომების გასაჩერებელი სივრცის მისაწვდომი გასავლელის სიგანე უტოლდება 1500 მმ-ს, ხოლო მათი სიგრძე გრძელდება იმ ავტოსადგომი სივრცის მთელ სიგრძეზე, რომელსაც ის ემსახურება. მისაწვდომი გასავლელები აღნიშნულია გრაფიკულად, გასავლელებში პარკინგის თავიდან ასაცილებლად. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 502.4 – 502.4.4 ქვეთავის მოთხოვნებს.
- ავტოსადგომი სივრცეები და მისაწვდომი გასავლელები შეესაბამება 302 ქვეთავს და მათი ზედაპირებები არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. მისაწვდომი გასავლელები იმ ავტოსადგომი სივრცის დონეზე მდებარეობდეს, რომლისთვისაც ის განკუთვნილია, რაცშეესაბამება 502.5 ქვეთავის მოთხოვნას.
- მიკროავტობუსისათვის განკუთვნილი სივრცე ღიაა, შესაბამისად შვეული თავისუფალი სივრცე აკმაყოფილებს 2500 მმ თავისუფალი სიმაღლის მინიმალურ მოთხოვნას.
- მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის ავტოსადგომ სივრცეებს ემსახურება ნიშანი, რომელიც შეიცავს 703.6.3.1 ქვეთავის შესაბამის მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლოს და მიკროავტობუსის ავტოსადგომისათვის ასეთი ნიშანი დამატებით შეიცავს წარწერას -„მისაწვდომია მიკროავტობუსებისთვის“/“VAN ACCESSIBLE”. ასეთი ნიშნების ქვედაპირი მდებარეობს ავტოსადგომი სივრცეებს იატაკიდან არაუმცირეს, 1500 მმ

სიმაღლეზე. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 502.7 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომი ავტოსადგომებისათვის განკუთვნილი გასაჩერებელი სივრცეები და ამ სივრცეების მომსახურე მისაწვდომი გასასვლელები არ ხერგავს მომიჯნავე მისაწვდომი სვლაგეზებისათვის განკუთვნილ აუცილებელ თავისუფალ სიგანეს, რაც აკმაყოფილებს 502.8ქვეთავის მოთხოვნას.

3. წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები

1. საპროექტო ფართში განთავსებული ტუალეტები შეესაბამება 603 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ტუალეტის ოთახებში უზრუნველყოფილია საპროექტო შენობებისათვის განკუთვნილი T-ს ფორმის მოსატრიალებელი სივრცე, რაც შეესაბამება 603.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- ტუალეტის ოთახების კარის გაღებისას, ისინი არ იჭრებიან მოწყობილობებისათვის განკუთვნილიატაკის თავისუფალ სივრცეებში, რაც შეესაბამება 603.2.2 ქვეთავს.

2.ტუალეტის ოთახებში განთავსებული უნიტაზები შეესაბამება 604 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- უნიტაზის განთავსებულია კედელთან ახლოს და უნიტაზის ცენტრიდან კედლის ზედაპირამდემანძილი განსაზღვრულია 450 მმ-ით, რაც შეესაბამება 604.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- უნიტაზთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე 1400 მმ სიღრმისა და 1500 მმ სიგანისსახით, სადაც არ იჭრება რაიმე სახის დეტალი, რაც აკმაყოფილებს 604.3 ქვეთავის მოთხოვნას.
- უნიტაზის დასაჯდომის სიმაღლე განთავსებულია 450 მმ-ზე იატაკის ზედაპირიდან, რაცშეესაბამება 604.4 ქვეთავს.
- უნიტაზთან მოწყობილია ხელჩასაჭიდი ძელები 604.5 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით.
- უნიტაზთან მოწყობილი ძელები შეესაბამება 609 ქვეთავის მოთხოვნებს.

3. ტუალეტის ოთახებში განთავსებული ხელსაბანები შეესაბამება 606 ქვეთავის მოთხოვნებს,კერძოდ:

- ხელსაბანთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე, 606.2 ქვეთავის შესაბამისად.

- ხელსაბანის განთავსების სიმაღლე შესაბამისობაშია 606,3 ქვეთავის მოთხოვნასთან.

4. საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:

საპროექტო შენობაში დაკმაყოფილებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების მოთხოვნები შენობებში მისაწვდომობის ნიშნების მოწყობისა და ადგილმდებარეობის თაობაზე და ყველა ასეთი ნიშანი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს, კერძოდ ნიშნები მოწყობილია ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში:

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია მისაწვდომ ერთადგილიან ტუალეტის ოთახთან. ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს.

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის ავტოსადგომ სივრცეებში. ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს.

- ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ვიზუალური სიმბოლოები შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- სიმბოლოებს ტრადიციული ფორმა აქვთ. სიმბოლოები არ არის დაწერილი იტალიკით, დახრილად, გაკრული შრიფტით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით.

- სიმბოლოების ზომა, სიგანე, შტრიხის სიგანე, სიმბოლოებს და სტრიქონებს შორის დაშორება შეესაბამება 703.2.4 – 703.2.8 ქვეთავების მოთხოვნებს.

- ვიზუალური სიმბოლოების იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.2.4 ცხრილს.

- სიმბოლოებისა და მათი ფონის ზედაპირი არ კაშკაშებს. სიმბოლოები ფონისგან განირჩევა, ანუ სიმბოლო სიმბოლო მუქი ფერისაა, ფონი კი ღია ფერის, რაც შეესაბამება 703.2.10 ქვეთავის მოთხოვნას.

- ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ამობურცული სიმბოლოები შეესაბამება 703.3 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ამობურცული სიმბოლოები უკანა სიბრტყიდან ამობურცულია 703.3.2 ქვეთავის შესაბამისად.

- ლათინური სიმბოლოები ასახულია დიდი ასობგერებით, თანახმად 703.3.3 ქვეთავისა.

- ლათინური სიმბოლოებისთვის გამოყენებულია „SANS SERIF“-ის ტიპის შრიფტი. სიმბოლოები არ არის შესრულებული იტალიკით, დახრილად, ხელნაწერის სახით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით, თანახმად 703.3.4 ქვეთავისა.

- შრიფტის ყველა სიმბოლოს დასაშვები სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება,

სტრიქონებს შორის დაშორება განსაზღვრულია 703.3.5 – 703.3.9 ქვეთავების შესაბამისად.

- სიმბოლოების იატაკის დონიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.3.10 ქვეთავის მოთხოვნას.

